წერილის ნომერი: **30-302608439**
თარიღი: **25/03/2026**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის - ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში, რომელიც შეეხება ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ინდივიდუალური მონაწილის დაჯილდოებას.

ვინაიდან დადგენილების მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, ჩვენს მიერ წარმოდგენილია შესაბამისი განკარგულების პროექტი.

საკითხის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის, ეკატერინე ჩუბინაშვილის კანდიდატურას.

პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის,
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური

წერილის ნომერი:**04-302608427**
თარიღი: **25/03/2026**

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს,

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს (1. 04.2026- 6.04.2026) ქ. ლანჩხუთში დაგეგმილია რიგით მეოთხე, „ნოე ჟორდანიას“ სახელობის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. ღონისძიების ორგანიზების პროცესში გამოიკვეთა დაფინანსების მოცულობის კორექტირება. კერძოდ, გამარჯვებული ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდოს ოდენობასთან დაკავშირებით.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე მოგახსენებთ, რომ სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის- განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N 16 დადგენილების მე-6 მუხლის მე-2-ე თავში შევიდეს ცვლილება. ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდოს ოდენობის შესახებ. და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

ტურნირი , კატეგორია	**I-ადგილი**	**II -ადგილი**	**III - ადგილი**
8 წლამდე გოგონები	350 ლარი	250 ლარი	150 ლარი
8 წლამდე ჭაბუკები	350 ლარი	250 ლარი	150 ლარი
10 წლამდე გოგონები	350 ლარი	250 ლარი	150 ლარი
10 წლამდე ჭაბუკები	350 ლარი	250 ლარი	150 ლარი
12 წლამდე გოგონები	350 ლარი	250 ლარი	150 ლარი
12 წლამდე ჭაბუკები	350 ლარი	250 ლარი	150 ლარი

ტურნირი კატეგორია	**I**	**II**	**III**	**IV**	**V**	**VI**	**VII**	**VIII**	**IX**	**X**
ღია	950 ლარი	800 ლარი	700 ლარი	600 ლარი	500 ლარი	400 ლარი	350 ლარი	300 ლარი	250 ლარი	200 ლარი
ქალთა შორის	500 ლარი	400 ლარი	350 ლარი							

16 წლამდე ღია	410 ლარი									
16 წლამდე გოგონათა შორის	400 ლარი									
14 წლამდე ღია	390 ლარი									
14 წლამდე გოგონათა შორის	380 ლარი									
სენიორები (01,01,1965- მდე დაბა.)	350 ლარი	300 ლარი	100							
ურეიტინგ ო მოთამაშეები	300 ლარი	200 ლარი	100							

მწვრთნელთა კონკურსი	**I**	**II**	**III**	**IV**	**V**
	500 ლარი	400 ლარი	350 ლარი	300 ლარი	250 ლარი

პატივისცემით,

ეკატერინე ჩუბინაშვილი

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური-
სამსახურის უფროსი

2800, ქ.ლანჩხუთი, კოსტავას ქ.37, ელ.ფოსტა: Lanchkhuti@yahoo.com

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2026 წლის მარტი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“–ს 106^1–ე მუხლის 1–ლი და მე–2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება **„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.**

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 106^2–ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

დანართი

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2026 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2026 წლის აპრილი
ქ. ლანჩხუთი

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N 16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge, 25/08/2023 წელი, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.112.016519) შევიდეს ცვლილება, კერძოდ: დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 6. გამარჯვებული გუნდის ან/და ინდივიდუალური მონაწილის დაჯილდოება

2. ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) 8-დან12 წლამდე სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებს შორის:

ა.ა) 8 წლამდე გოგოები და ვაჟები: I ადგილი - 350 ლარი; II ადგილი - 250 ლარი; III ადგილი - 150 ლარი;

ა.ბ) 10 წლამდე გოგოები და ვაჟები: I ადგილი - 350 ლარი; II ადგილი - 250 ლარი; III ადგილი - 150 ლარი;

ა.გ) 12 წლამდე გოგოები და ვაჟები: I ადგილი - 350 ლარი; II ადგილი - 250 ლარი; III ადგილი - 150 ლარი;

ბ) ღია ტურნირის სხვადასხვა კატეგორიას შორის:

ბ.ა) ღია კატეგორიას შორის: I ადგილი - 950 ლარი; II ადგილი -800 ლარი; III ადგილი - 700 ლარი; IV ადგილი - 600 ლარი; V ადგილი - 500 ლარი, VI ადგილი - 400 ლარი; VII ადგილი - 350 ლარი, VIII ადგილი - 300 ლარი; IX ადგილი - 250 ლარი, X ადგილი - 200 ლარი;

ბ.ბ) ქალთა შორის: I ადგილი - 500 ლარი; II ადგილი - 400 ლარი; III ადგილი - 350 ლარი.

ბ.გ) 16 წლამდე ღია: I ადგილი - 410 ლარი;

ბ.დ) 16 წლამდე გოგოებს შორის: I ადგილი - 400 ლარი;

ბ.ე) 14 წლამდე ღია: I ადგილი - 390 ლარი;

ბ.ვ) 14 წლამდე გოგოებს შორის: I ადგილი - 380 ლარი;

ბ.ზ) სენიორები(01.01. 1965 წლამდე დაბ.): I ადგილი - 350 ლარი; II ადგილი - 300 ლარი, III ადგილი - 100 ლარი;

ბ.თ) ურეიტინგო მოთამაშეები: I ადგილი - 300; II ადგილი - 200 ლარი III ადგილი - 100 ლარი,.

გ) მწვრთნელთა შორის: I ადგილი - 500 ლარი, II ადგილი - 400 ლარი, III ადგილი - 350 ლარი, IV ადგილი - 300, V ადგილი - 250 ლარი.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**